ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №68

თბილისი „11" „ივნისი " 2014 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") - „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მითითებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო, წარმოდგენილი მისი უფროსის ეკატერინე ჭარდაევას სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორე მხრივ შპს „მაიფონი" მისი დირექტორის ქეთევან ნლაიძის (შემდგომში „მიმწოდებელი") სახით.

3. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

3.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-1 პუნქტის „ს'" ქვეპუნქტის საფუძველზე ბიუროს ადმინისტრაციული ხარჯების ფარგლებში, ბიუროს საჭიროებისათვის IP ტელეფონის აპარატების CPV 32552100 შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი 1500 (ათას ხუთასი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების საერთო ღირებულება").

3.2. ხელშეკრულების 3.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

4.1. IP ტელეფონი, Grandstream GXP1405, 15 ერთეული, ერთეულის ფასი 100 (ასი) ლარი.

5. საქონლის მოწოდების პირობები

5.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2014 წლის 13 ივნისის ჩათვლით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება ჩაბარების აქტით ფაქტიურად მიწოდებულსაქონელზე.

6.2. საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა "მიმწოდებელი" "შემსყიდველს" წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას დადგენილი წესის შესაბამისად.

7. ანგარიშსწორების წესი და პირობები

7.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება;

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება "მიმწოდებლის" საბანკო ანგარიშზე;

7.3. ანგარიშსწორება იწარმოებს "მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი მიღება ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9. მხარეთა ვალდებულებები

9.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

9.1.1. მიაწოდოს შემსყიდველს ნიეთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი;

9.1.2. მისცეს „შემსყიდველს" გარანტიას, რომ ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში საქონელი არ გამოავლენს დეფექტს და ხარვეზს;

9.1.3. გარანტია მოქმედებს შესყიდვიდან 3 თვის განმავლობაში;

9.1.4. დაიცვას ამ ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის მოთხოვნები.

9.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

9.2.1. დაიცვას ამ ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის მოთხოვნები.

9.2.2 დროულად მოახდინოს მომსახურების ღირებულების გადახდა ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობით და წესის შესაბამისად;

9.2.3. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დაფინანსება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.2.4. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული "შემსყიდველისა" და/ან "მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს "შემსყიდველი" არ არის ვალდებული წარუდგინოს "მიმწოდებელს" რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ორი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების, ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მეორე მხარეს;

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან სამი დღის გასვლის შემდეგ;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი, საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ირაკლი კილაძე.

15.2. კოორდინატორის ფუნქციებია:

15.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

15.2.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმება.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1. "შემსყიდველმა" და "მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2. თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სახამართლოს.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2014 წლის 14 ივლისის ჩათვლით.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 გვერდზე, 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

18.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან" ერთი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან"

„შემსყიდველი"

სსიპ ხაჯარო სამსახურის ბიურო
ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. №3
სახელმწიფო ხაზინა
კოდი № TRESGE22
ა.ა №200122900
საიდენტიფიკაციო კოდი №205047288

ეკატერინე ქარდავა
უფროსი

„„მიმწოდებელი"

შპს „მაიფონი"
ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.№74
ს.ს „ლიბერთი ბანკი"
მარჯანიშვილის ფილიალი,
ბანკის კოდი № LBRTGE22
ანგარიშის №GE72LB0113126280222000
საიდენტიფიკაციო კოდი №205270473

ქეთევან ჩლაიძის
დირექტორი